პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

11 ივნისი ხუთშაბათი 1970 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 135 (14739)

არჩევნებამდე 3 დღე დარჩა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ისევე როგორც წინათ, არჩევნებს ეგებება უპარტიოებთან ურღვევი ბლოკით. კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკი მკაფიოდ გამოხატავს პარტიისა და ხალხის, მთელი ჩვენი საზოგადოების პოლიტიკურ ერთიანობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის წინასაარჩევნო მიმართვიდან

კომუნისტურ მშენებლობაში ახალი წარმატებებისათვის

ამომრჩეველთა შეხვედრა ა. ნ. კოსიგინთან

ახლოვდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახალი არჩევნების ღირსშესანიშნავი დღე. მთავრდება სსრ კავშირის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ოთხწლიანი პერიოდი. ახლა მთელ საბჭოთა კავშირში ამომრჩევლები ხვდებიან სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში თავიანთ დეპუტატობის კანდიდატებს.

10 ივნისს მოსკოვში, სსრ კავშირის დიდ თეატრში მოსკოვის საქალაქო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლები შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს **ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინს.**

კრება გახსნა მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ვ. თ. პრომისლოვმა.** მან ილაპარაკა იმ დიდ პოლიტიკურ და შრომითს აღმავლობაზე, რომლითაც ყველა ამომრჩეველისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვით აღფრთოვანებული მოსკოველები ეგებებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს.

— დღეს, — თქვა მან, — ეროვნებათა საბჭოს არჩევნების მოსკოვის საქალაქო საარჩევნო ოლქის წარმომადგენლები ხვდებიან დეპუტატობის კანდიდატს ამხანაგ ა. ნ. კოსიგინს, რომელიც დაასახელეს მოსკოველ კუიბიშევის სახელობის ელექტროქარხნის, პირველი სახელმწიფო საკისრის ქარხნის, მოსკოვის ტრიკოტაჟის ფაბრიკა „კრასნაია ზარიას“ კოლექტივებმა. მოსკოველებს არაერთხელ გაუწევიათ ნდობა ამხანაგ კოსიგინისათვის და აუჩრეიათ იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. მან ღირსეულად გაამართლა ეს ნდობა.

14 ივნისს საბჭოთა ადამიანები ხმას მისცემენ სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცებას, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომ განვითარებას, ყველა საბჭოთა ხალხის ძმური კავშირის განმტკიცებას, სამშობლოს ნათელ მომავალს — კომუნიზმს.

ნდობით აღვსილმა პირებმა — პირველი სახელმწიფო საკისრის ქარხნის ზეინკალთა ბრიგადირმა სოციალისტური შრომის გმირმა **ს. ს. მინაევმა** და № 92 სკოლა-ინტერნატის დირექტორმა რუსეთის სფსრ სკოლის დამსახურებულმა მასწავლებელმა **მ. ა. ილინამ** შეკრებილთ გააცნეს ა. ნ. კოსიგინის ცხოვრების გზა, სახელმწიფო, პარტიული და საზოგადო მოღვაწეობა. მათ მოუწოდეს ყველა ამომრჩეველს ერთსულოვნად მისცეს ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ლენინური ბლოკის კანდიდატებს.

შეხვედრაზე გამოვიდნენ აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ა. ბ. ზეფიროვი,** „მოსკოვმშენ 13“ ტრესტის № 55 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი **ა. ი. პანკოვი** და მოსკოვის კუიბიშევის სახელობის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტის სტუდენტი **ნ. ვ. რიახინა.** ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისათვის, ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის ქვეყნის თვითეული მშრომელის დიდი მადლობის გრძნობას იწვევს.

თვითეული საბჭოთა ადამიანი, როცა თვალს გადაავლებს განვლილ გზას, ხედავს, თუ რა უდიდესი წარმატებანი მოიპოვა ჩვენმა სამშობლომ. ეს წარმატებანი მუშების, გლეხების, საბჭოთა ინტელიგენციის თავდადებული შრომის შედეგია. ისინი მოწმობენ, რომ სწორია ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა.

არჩევნების დღე, აღნიშნეს ორატორებმა, კვლავ მკაფიოდ დაადასტურებს, რომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას ერთსულოვნად და მხურვალედ უჭერს მხარს მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი.

□ □

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა **ა. ნ. კოსიგინმა,** რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. ოთხი წელი გავიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნების შემდეგ, — თქვა მან. — ამ დროის მანძილზე ჩვენი სამშობლოს ეკონომიკა და კულტურა მნიშვნელოვნად გაიზარდა, განმტკიცდა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოზიციები, გაუმჯობესდა ხალხის კეთილდღეობა.

სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა, ხუთწლიანი გეგმის დავალებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში საბჭოთა ადამიანები იჩენენ მასობრივ შრომითს გმირობას, გამოხატავენ დიდ ერთგულებას კომუნიზმის საქმისადმი, ერთსულოვნად უჭერენ მხარს პარტიისა და მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკას. ეს მხარდაჭერა საბჭოთა სახელმწიფოს მთავარი ძალაა. იგი ყოველთვის გვეხმარებოდა სოციალისტური მშენებლობის ყველაზე რთული და ძნელი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში. პარტიისა და ხალხის ერთიანობა განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით, რომლითაც აღინიშნა ისეთი დიდი მოვლენები, როგორიც არის საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავი, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავი და ფაშიზმზე ჩვენი დიადი გამარჯვების 25 წლისთავი. საბჭოთა ხალხისა და ლენინური პარტიის ერთიანობას ყოველთვის თვალსაჩინოდ ადასტურებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებიც.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელება თვითეული კანდიდატისათვის დიდი პატივი და ამასთან დიდი პასუხისმგებლობაა ხალხის წინაშე, და უწინარეს ყოველისა პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ შესრულდეს ამომრჩეველთა მთავარი განაწესი: ყოველივის განუხრელად ვიცავდეთ პარტიის ლენინურ გენერალურ ხაზს, კომუნისტთა და უპარტიოთა საყოველთაო-სახალხო ბლოკის ნამდვილ საარჩევნო პლატფორმას.

ა. ნ. კოსიგინმა გულითადი მადლობა გადაუხადა მოსკოვის ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის ლენინის ორდენოსანი და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ელექტროქარხნის, პირველი სახელმწიფო საკისრის ლენინის ორდენოსანი ქარხნისა და სხვა საწარმოებისა და დაწესებულებების კოლექტივებს, რომლებმაც დაასახელეს მისი კანდიდატურა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების მოსკოვის საქალაქო საარჩევნო ოლქში, აგრეთვე კრებაზე გამოსულ ყველა ამხანაგს. მინდა აღგითქვათ, თქვა მან, რომ მთელი ჩემი საქმიანობით განუხრელად განვახორციელებ ჩვენი პარტიის ხაზს, რომელსაც ერთსულოვნად იწონებს და მხურვალედ უჭერს მხარს მთელი საბჭოთა ხალხი.

კომუნისტებისათვის ცხოვრებისა და მუშაობის მთელი დედააზრი ის არის, რომ ემსახურონ ხალხის ინტერესებს. სხვა მიზანი ჩვენს პარტიას არა ჰქონია და არცა აქვს. ამ მიზნისაკენ იგი მიდის დიდი ლენინის მიერ ნაჩვენები გზით, მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი დროშაბ.

ა. ნ. კოსიგინი თავის გამოსვლაში შეეხო სახალხო მეურნეობის განვითარების ზოგიერთ საკითხს.

— დღეს შეგვიძლია ვთქვათ: პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის დაძაბული მუშაობის მეოხებით ხუთწლიანი გეგმის დავალებანი წარმატებით სრულდება, ხოლო მრავალი დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებლის მიხედვით ისინი გადაჭარბებით შესრულდება. განხორციელდა მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიური ღონისძიებანი, რომლებმაც ნაყოფიერი გავლენა მოახდინეს ყველა მშრომელთა ცხოვრების დონეზე. ქვეყანამ ახალი დიდი ნაბიჯი გადადგა კომუნიზმის მშენებლობის გზაზე.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარების მთავარი შედეგი აისახა ეროვნული შემოსავლის მოცულობაში. ახლახდელი ხუთწლედის მანძილზე ეროვნული შემოსავალი უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე გასულ ხუთწლეულში. 1966-1970 წლებში წარმოებული შემოსავალი გაიზრდება 42 პროცენტით, ნაცვლად 1961-1965 წლების 37 პროცენტისა.

პარტიის XXIII ყრილობის დირექტივები ითვალისწინებდნენ სამრეწველო წარმოების გადიდებას თითქმის ერთნახევარჯერ. ეს დავალება შესრულდება. სამრეწველო წარმოების ზრდის სწრაფი და მყარი ტემპები მიღწეულია ყველა მოკავშირე რესპუბლიკასა და ქვეყნის დიდ ეკონომიურ რაიონებში.

მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპები მიმდინარე ხუთწლედში უფრო სწრაფია, ვიდრე წინა ხუთწლედში. შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით ამ ბოლო ოთხი წლის მანძილზე მიღებულია სამრეწველო პროდუქციის მთელი მატების ორი მესამედი.

შემდეგ ორატორმა აღნიშნა, რომ ხუთწლედის წლევანდელ დამამთავრებელ წელს ჩვენი მრეწველობა აგრეთვე სწრაფი ტემპებით ვითარდება, და შეეხო მისი უძნიშვნელოვანესი დარგების განვითარების ძირითად შედეგებს, განსაკუთრებით გაუსვა ხაზი გეოლოგიის, ენერგეტიკის, სათბობის მრეწველობის, შავი მეტალურგიის, ქიმიური მრეწველობის, მანქანათმშენებლობის განვითარების წარმატებებს.

შემდეგ ა. ნ. კოსიგინმა ილაპარაკა ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდაზე და დაწვრილებით გააშუქა ღონისძიებანი, რომლებსაც პარტია და მთავრობა ახორციელებენ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. შეეხო რა კაპიტალური მშენებლობის საკითხებს, მან აღნიშნა ქვეყანაში ახალი მშენებლობის დიდი მასშტაბები, სამშენებლო ინდუსტრიის განვითარების მაღალი დონე. ამავე დროს ორატორმა ხაზი გაუსვა, რომ არის არსებითი ნაკლოვანებანი სახალხო მეურნეობის ამ დარგში და ჩამოაყალიბა კაპიტალური მშენებლობის გაუმჯობესების ღონისძიებანი, რომლებიც შემუშავებულია და ხორციელდება პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებებით.

ძმამავალი ხუთწლეულის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა უნდა გახდეს მრეწველობის ტექნიკური რეკონსტრუქცია. მომქმედი მოწყობილობის შეცვლა უფრო დიდი წარმადობის მოწყობილობით, აგრეგატების ერთეული სიმძლავრის გადიდებამ, ტექნოლოგიურ პროცესებში ვიწრო ადგილების აღმოფხვრამ, მძიმე და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციამ, განსაკუთრებით დამხმარე წარმოებებსა და საამქროებში, ავტომატიზაციამ და წარმოების მართვისა და შრომის ორგანიზაციის მეცნიერული სისტემების დანერგვამ—ყოველივე ამან შესაძლებლობა უნდა მოგვცეს მოკლე ვადებში გავადიდოთ პროდუქციის გამოშვება, მნიშვნელოვნად გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება, გავათავისუფლოთ ბევრი მუშა მეორე ცვლების დასაკომპლექტებლად.

მიმდინარე ხუთწლედში ჩვენ ვახორციელებთ ეკონომიკის განვითარებაში პროპორციათა გაუმჯობესების კურსს, რომელიც პარტიამ დასახა, და არსებითად გავაუმჯობესეთ სახალხო მეურნეობის სტრუქტურა, გავაძლიერეთ ეკონომიური განვითარების გეგმაზომიერება. წარმატებით სრულდება პარტიის XXIII ყრილობის

(დასასრული მე-2 გვერდზე).

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ



ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲐᲡᲝᲠᲗᲝᲪᲘ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝᲕᲚᲐ

მეათე დღეა ორბიტულ ფრენას ახორციელებს „სოიუზ-9“ კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟი. 10 ივნისს 14 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით „სოიუზ-9“ ხომალდმა 140-ჯერ შემოუარა დედამიწას.

კოსმონავტების ანდრიან ნიკოლაევისა და ვიტალი სევასტიანოვის მორიგი სამუშაო დღე დაიწყო დაახლოებით 16 საათზე და დამთავრდა დილის 4 საათსა და 30 წუთზე. დღის განმავლობაში ეკიპაჟი ასრულებდა ტექნიკურ ექსპერიმენტებს, აგრეთვე შეასრულა სამედიცინო კვლევა.

127-128-ე გარშემოვლის დროს კოსმონავტებმა გამოსცადეს ვარსკვლავის გადამწოდი, რომელიც ახალი პრინციპით მუშაობს. როცა დედამიწის ჩრდილოვან მხარეზე იყვნენ, კოსმონავტებმა განახორციელეს ვარსკვლავ ვეგას ძებნა და ვარსკვლავის გადამწოდის საშუალებით მოახდინეს ხომალდის ორიენტაცია ვეგას მიმართ. ხომალდის ამ მდგომარეობას შემდგომში ინარჩუნებდნენ ორიენტაციის ძრავებისა და გიროსკოპიული მოწყობილობების საშუალებით. დედამიწის სრული გარშემოვლის შემდეგ ვარსკვლავის გადამწოდმა კვლავ „დაიჭირა“ ვარსკვლავი ვეგა.

რადიოკავშირის სეანსებში კოსმონავტებმა ნიკოლაევმა და სევასტიანოვმა განაცხადეს, რომ თავს კარგად გრძნობენ და ღრმა ძილით ეძინათ. ანდრიან ნიკოლაევი ამჯობინებს ძილს ორბიტულ ნაკეთურში, სადაც ტემპერატურა დაახლოებით 24 გრადუსია ცელსიუსით, სევასტიანოვი კი კაბინაში, სადაც ცოტა უფრო გრილა.

როგორც კოსმონავტებმა თქვეს, კარგი მადა აქვთ. საჭირო რაოდენობის საითხეს ისინი იღებენ სასმელი წყლის, ხილის წვენების, ყვნილისა და ყავის სახით. ტელემეტრიის მონაცემებითა და სატელევიზიო დაკვირვებებით, კოსმონავტების ჯანმრთელობის მდგომარეობა კარგია, შრომისუნარიანობა მაღალი.

„სოიუზ-9“ ხომალდის ეკიპაჟმა მორიგი სამუშაო დღე დაიწყო 10 ივნისს 12 საათზე მოსკოვის დროით. რადიოკავშირის სეანსში ანდრიან ნიკოლაევმა განაცხადა, რომ კოსმონავტები დასვენების შემდეგ შეუდგნენ დასახული პროგრამის შესრულებას.

„სოიუზ-9“ კოსმოსური ხომალდის ფრენა გრძელდება.

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘ-346“

1970 წლის 10 ივნისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-346“.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

□ □

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ ᲓᲣᲑᲜᲐᲕᲘ

დუბნა. (საკდესი). აქ გაიხსნა სოციალისტურ სახელმწიფოთა საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციის — ბირთვული კვლევის გაერთიანებული ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 28-ე სესია. მასში მონაწილეობენ ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის ინსტიტუტების, ლაბორატორიებისა და უნივერსიტეტების ხელმძღვანელები.

სესიაზე განიხილავენ ინსტიტუტის შემდგომი განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებულ საკითხებს.

ᲙᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

ᲥᲣᲘᲒᲣᲚᲘ. ვ. ი. ლენინის სახელობის შახტის ამომრჩეველთა კლუბში საღამოობით დიდძალი ხალხი იყრის თავს, ისმენენ ლექციებს, ესწრებიან კინოფილმებს, ათვალიერებენ გამოფენებს, კითხულობენ ახალ ჟურნალ-გაზეთებს. ამ დღეებში გამოვიდა „ამომრჩევლის ხმის“ მორიგი ნომერი.

ჟურნალდენილთა და პატივისცემით არიან მოსილნი ახალგაზრდა ამომრჩევლები, ისინი, ვინც წელს პირველად განახორციელებენ თავიანთ მოქალაქეობრივ უფლებებს. მათთან საუბრებს ატარებენ მომზადებული ლექტორ-მომხსენებლები.

ამომრჩეველთა კლუბს 80 აგიტატორი და პოლიტინფორმატორი ჰყავს. ისინი მეშახტეთა საერთო საცხოვრებლების ხშირი სტუმრები არიან. განსაკუთრებით აქტიურობენ აგიტატორები ა. გელაძე, მ. ჩხეიძე, დ. კენჭაძე, ც. ბოჭორიშვილი და ე. კუპრაშვილი. (საკ. კორ.).

ᲛᲔᲮᲐᲠᲐᲫᲔ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების პერიოდში იდეოლოგიური მუშაობა კიდევ უფრო სისხლსავსე და ქმედითი გახდა. პოლიტიკური განათლების კაბინეტთან მუშაობს ამომრჩეველთა კლუბი. მოეწყო ახალგაზრდა ამომრჩეველთა შეხვედრა სამამულო ომის ვეტერანებთან, აგრეთვე შეხვედრები მეურნეობაში მომუშავე სოციალისტური შრომის გმირებსა და ამომრჩევლებს შორის.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან მრავალტირაჟიან ნაბეჭდ გაზეთ „ლაითურისა“ და ადგილობრივი რადიოგადაცემის რედაქციები, რომლებიც ვრცლად და შინაარსიანად აშუქებენ არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებს.

ᲗᲔᲜᲘᲖ ᲨᲝᲠᲜᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ლაითურის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის პარტიული კომიტეტის მდივანი.

ᲒᲝᲠᲘᲡ რაიონის სოფელ ბერბუკის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაციულ შენობაში მოთავსებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ერთ-ერთი საარჩევნო უბანი. ახლა აქ გაცხოველებულია მუშაობა მომდინარეობს. **ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ:** საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები კიდევ ერთხელ აზუსტებენ ამომრჩეველთა სიებს, ემზადებიან ამომრჩევლების მიღებისათვის.

ფოტო ვ. ᲑᲔᲜᲔᲨᲘᲠᲘᲡᲐ.



ᲦᲘᲠᲡᲔᲚᲘ ᲛᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 50 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲡ

ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘ — ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲗᲐᲠᲘᲦᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა დამტკიცა რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების ღონისძიებათა გეგმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების, მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების სოციალისტურ შეჯიბრებას. ივლისში მოიწვევენ წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა რესპუბლიკურ თათბირს, რომელიც განიხილავს, თუ როგორ სრულდება საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

რესპუბლიკის საწარმოებსა და ორგანიზაციებში მოეწყობა წარმოების კულტურის საზოგადოებრივი დათვალიერება საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის აღსანიშნავად, საიუბილეო კონკურსები სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით საუკეთესო გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადებისათვის, ორგანიზებული რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა შეჯიბრება ნოვატორთა საიუბილეო ფონდის შექმნისათვის.

გეგმით გათვალისწინებულია მოეწყოს საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის აღსანიშნავი კონკურსები და დღესასწაულები. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან ერთად რესპუბლიკის საწარმოებში, ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიმართება სიმღერისა და ცეკვის დღესასწაულები, მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივთა კონცერტები. მშრომელთა შორის იდეურ-პოლიტიკური და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის საუკეთესო დაყენებისათვის მოეწყობა რესპუბლიკის დარგობრივი პროფკავშირების კულტურული დაწესებულებების მუშაობის დათვალიერებანი.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა ჩვენი რესპუბლიკის 50 წლისთავის აღსანიშნავად გადაწყვიტა მოაწყოს: საქართველოს მწერალთა კავშირთან ერთად ლიტერატურული კონკურსი, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნასთან“ ერთად — სახალხო უნივერსიტეტების მუშაობის რესპუბლიკური საზოგადოებრივი დათვალიერება, ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციასთან ერთად — რესპუბლიკის ქალთა საბჭოების კონკურსი მუშაობის საუკეთესოდ დაყენებისათვის, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან ერთად — რესპუბლიკური კონკურსი სოფლად მშრომელთა საუკეთესო კულტურული მომსახურებისათვის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან ერთად — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერება, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან, რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და კომუნალური მეურნეობის სამინისტროებთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკურ კულტურისა და სპორტის კომიტეტთან ერთად — რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსი საცხოვრებელ ადგილას ბავშვებთან და მოზარდებთან აღმზრდელობითი მუშაობის საუკეთესოდ დაყენებისათვის, გამოცხადებულია პროფკავშირთა პიონერული ბანაკების დათვალიერება საუკეთესო აღმზრდელობითი და გამოჯანსაღებელი მუშაობისათვის.

საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს მიეძღვნება კინოფესტივალი პროფკავშირულ კლუბებში, კულტურის სახლებსა და სასახლეებში თემაზე „ქართული ფილმი“ 50 წლის მანძილზე“, აგრეთვე მოყვარულთა კინოფილმების რესპუბლიკური ფესტივალი და ფოტომოყვარულთა რესპუბლიკური კონკურსი თემაზე „ჩემი საქართველო“.

ეწყობა საიუბილეო დათვალიერება-კონკურსები სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე, საბჭოთა მეურნეობებსა და დაწესებულებებში საზოგადოებრივი კვების საუკეთესო ორგანიზაციისათვის, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა საერთო საცხოვრებლების სანმეშო მოწყობისათვის. (საკდესი).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლაში დამთავრდა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეთა მოადგილეებისა და საქმეთა მმართველების, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა მოადგილეების ერთთვიანი კურსები. ისინი სწავლობდნენ სკკპ ისტორიისა და პოლიტიკის, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიისა და მეცნიერული კომუნიზმის, პოლიტიკური ეკონომიის, მართვის მეცნიერული საფუძვლების ანტიალურ საკითხებს. სწავლების პროგრამაში დიდი ადგილი ეჭირა პარტიული და საბჭოთა მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებს, ეკონომიკურ საკითხებს, მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში საბჭოების საქმიანობის გაკვნობას.

კურსების მსმენელებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საბჭოთა მშენებლობის, ეკონომიკის და საყოფაცხოვრებო მომსახურების, მშენებლობისა და მრეწველობის განვითარებაში საბჭოების მონაწილეობის შესახებ.

მსმენელთა წინაშე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **კ. ტ. მაზუროვი.**

ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐᲗ

პრემიის სვერდლოვის დარბაზში 9 ივნისს შეიკრიბნენ მწერლები, მსახიობები, არქიტექტორები, მხატვრები, მოქანდაკეები, რათა თავიანთ კოლეგებთან ერთად გაეზიარებინათ სიხარული იმ ზეიმის გამო, რომელიც აქ გაიმართა 1970 წლის ლენინური პრემიების გადაცემასთან დაკავშირებით.

ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ **გ. მ. მარკოვმა** მადალი ჯილდო მიულოცა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ახალ დიდ ჯგუფს, რომელთა შრომამ საუოველთაო-სახალხო აღიარება მოიპოვა.

ლაურეატთა დიპლომები და სანატალო ნიშნები მიიღეს **ნ. ს. ტიხონოვმა, ლ. ვ. ზიკინმა, ბ. ბ. ერენსაფმა, ი. ნ. გრიგორიევმა, ბ. ნ. როჟდესტვენსკიმ, ხ. ბ. ვირსალაძემ, მ. ლ. ლავროვსკიმ, მ. ე. ლიეპპამ, ბ. ბ. ასარისმა, ლ. ვ. ბუკოვსკიმ, ი. ბ. ზარინმა, ო. ი. ოსტროვერგმა, ო. ი. სარარინმა, ი. ა. სტრაუტმანმა, ი. მ. გრადოვმა, ვ. ბ. ზანკოვიჩმა, ლ. მ. ლევინმა, ხ. ი. ხელიხანოვმა, ხ. ვ. ვიხალკოვმა.**

კომუნისტურ მშენებლობაში ახალი ნარმატებებისათვის

(დასასრული)

დირექტივა, რომ ერთმანეთს დაუახლოვდეს წარმოების საშუალებათა წარმოებისა და მოხმარების საგნების წარმოების ზრდის ტემპები. ამის შედეგად მოსახლეობის მოხმარების საერთო ფონდი უფრო დიდი ოდენობით იზრდება, ვიდრე დირექტივებით არის გათვალისწინებული. გაიზარდა მისი წილი ეროვნულ შემოსავალში.

ჩვენში მოსახლეობის ცხოვრების დონეს მხოლოდ ხელფასი როდი განსაზღვრავს, მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოხმარების საზოგადოებრივ ფონდებს. ამ ფონდების ხარჯზე ხორციელდება დიდი სოციალური მნიშვნელობის ღონისძიებანი განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის დარგში. მიმდინარე ხუთწლეულში მშრომელები შრომის ანაზღაურების ფორმით მიიღებენ 225 მილიარდი მანეთით მეტ ფულად შემოსავალს, ვიდრე წინა ხუთწლეულში. მოსახლეობა პენსიის, დახმარების, უფასო სწავლების, უფასო სამედიცინო მომსახურების, ფასიანი შვებულებების სახით მიიღებს 98 მილიარდი მანეთით მეტს, ესე იგი ერთნახევარჯერ მეტ დახმარებასა და შეღავათებს.

პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ საბინაო პრობლემის გადაჭრას. ახლა ქალაქებსა და სოფლებში ყოველწლიურად საექსპლოატაციოდ გადასცემენ საცხოვრებელ სახლებს, რომელთა საერთო ფართობი 100 მილიონ კვადრატულ მეტრს აღემატება.

პარტიისა და მთავრობის ეკონომიური პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება მიმდინარე ხუთწლედში იყო სამეურნეო რეფორმის განხორციელება, რომელიც თანდათან მოიცავს სახალხო მეურნეობის ყველა დარგს.

რეფორმის არსი ის არის, რომ სრულვყოფთ რა ცენტრალიზებულ დაგეგმვას, ავამაღლოთ საწარმოთა კოლექტივების ინიციატივა და დაინტერესება, რათა კიდევ უფრო სრულად გამოიყენონ საწარმოო რესურსები, აამაღლონ წარმოების ეფექტიანობა და ეკონომიური სტიმულების სისტემათა საშუალებით ერთმანეთს დავუკავშიროთ თვითეული მშრომელის, საწარმოსა და საზოგადოების ინტერესები.

რეფორმამ გვიჩვენა თავისი ცხოველმყოფელობა. უკვე შეგვიძლია აღვნიშნოთ მისი არსებითი დადებითი შედეგები. მან აამოქმედა ბევრი რეზერვი მრეწველობაში, ტრანსპორტზე, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. გაიზარდა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა, კიდევ უფრო სრულად და უკეთ იყენებენ საწარმოო ფონდებსა და ნედლეულის რესურსებს. ყოველივე ამან სერიოზული გავლენა მოახდინა დანაკარგების შემცირებაზე, მოგების გადიდებაზე, რაც, თავის მხრივ, საშუალებას გვაძლევს ავამაღლოთ მშრომელთა ცხოვრების მატერიალური დონე.

როგორც გათვალისწინებული იყო პარტიის გადაწყვეტილებებით, სახალხო მეურნეობის დარგების გადაყვანა ახალ სისტემაზე ხორციელდება თანდათანობით. ეს მუშაობა ძირითადად ახლა მთავრდება მრეწველობაში, ტრანსპორტზე და ჩაღდება საბჭოთა მეურნეობებში, ვაჭრობაში, კაპიტალურ მშენებლობაში. მუშავდება მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სისტემაზე ეკონომიური რეფორმის გავრცელების ღონისძიებანი.

რეფორმის მიმდინარეობის დროს ხორციელდება სამეურნეო მართვის დარგობრივ ორგანოთა სტრუქტურის შემდგომი სრულყოფის, მათი მუშაობის მეთოდებისა და სტილის გაუმჯობესების ღონისძიებანი. ამჟამად არსებული მართვის მრავალსაფეხურიანი სისტემა გარდაიქმნება, უფრო მოქნილი და ოპერატიული გახდება. სამეურნეო მართვის ორგანოები უნდა დავუახლოვოთ წარმოებას, შევამციროთ ზედმეტი რგოლები, გავამარტივოთ და გავაიაფოთ სამმართველო აპარატი. ამას წინათ მიღებულია გადაწყვეტილება მრეწველობის ქიმიური, ნავთობის, ქვანახშირის დარგების მართვის ორგანიზაციული გარდაქმნის განხორციელების შესახებ.

ახალი ორგანიზაციული სტრუქტურა საშუალებას მოგვცემს გავაუმჯობესოთ მრეწველობის ხელმძღვანელობა, გავაძლიეროთ წარმოების კონცენტრაცია და სპეციალიზაცია, შექმნის პირობებს მთელი რესურსების უფრო რაციონალურად გამოყენებისათვის, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის. ეს გამოცდილება გავრცელდება სახალხო მეურნეობის სხვა დარგებზე.

საბჭოთა ქვეყანაში მეურნეობის სოციალისტური გაძღოლის გაუმჯობესების ყოველ ახალ ორგანიზაციულ ღონისძიებას, განსაკუთრებით ისეთ დიდ ღონისძიებას, როგორიც ეკონომიური რეფორმაა, არ შეიძლება არ გამოეწვიოს ჩვენი მტრების რეაქცია საზღვარგარეთ. დასავლეთელი ჟურნალისტები, ეკონომისტები, სოციოლოგები თავდაპირველად ცდილობდნენ ემტკიცებინათ თითქოს ჩვენი რეფორმა ნიშნავდეს მეურნეობის გაძღოლის სოციალისტური მეთოდებისაგან გადახვევას, სახალხო მეურნეობის გეგმიან ხელმძღვანელობაზე უარის თქმას. ცხოვრებამ გვიჩვენა, თუ რა უნიადაგოა ასეთი მოსაზრებანი. ცენტრალიზებული დაგეგმვისა და საწარმოების ფართო ინიციატივის შეხამება, კოლექტივებისა და ყველა მშრომელთა მატერიალური და მორალური დაინტერესება ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცებით დემოკრატიული ცენტრალიზმის იმ ურყევი ლენინური პრინციპების არსია, რომლებსაც საფუძველად ვუდებდით და დავუდებთ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის სისტემას.

ეკონომიური რეფორმა გაყინული რამ როდია. ეს არის რთული, დინამიკური პროცესი. რა თქმა უნდა, საჭირო იქნება რეფორმის ცალკეული ელემენტების, მისი მოქმედების მექანიზმის სრულყოფა.

მეურნეობის სოციალისტური გაძღოლა გულისხმობს სახელმწიფო დისციპლინის მტკიცედ დაცვას, წარმოების ყველა უბანზე, მეურნეობის მართვის ყველა რგოლში მიხდობილი საქმისათვის, საგეგმო დავალებათა და სამეურნეო ხელშეკრულებათა შესრულებისათვის მუშაკთა პასუხისმგებლობის ამაღლებას. ეს ამოცანა ხაზგასმით აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში.

ჩვენ ვცხოვრობთ, განაგრძო ა. ნ. კოსიგინმა, სწრაფი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეპოქაში, ეპოქაში, როცა ჩაღდება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია. ახლა მეცნიერება უმაგალითოდ მჭიდროდ არის დაკავშირებული წარმოებასთან.

სოციალისტურ საზოგადოებაში, სადაც წარმოების საშუალებებიც, პოლიტიკური ხელისუფლებაც ხალხს ეკუთვნის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ნაყოფი გამოყენებულია მთელი საზოგადოების ინტერესებისათვის. ჩვენი საზოგადოების ყველა სოციალურ ფენას მოგებას აძლევს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი.

ეუფლება რა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მოწინავე მიჯნებს, მუშათა კლასი, რომელიც იყო და არის ჩვენი საზოგადოების წამყვანი ძალა, იძენს ახალ თვისებებს: მაღლდება მისი ზოგადსაგანმანათლებლო, კულტურული და ტექნიკური დონე.

ამავე მიმართულებით ვითარდება კოლმეურნე გლეხობაც. სულ უფრო ქრება განსხვავება მუშათა და გლეხთა შრომისა და ყოფის პირობებში. სოციალიზმის დროს დიდად გაიზარდა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის წრიდან გამოსული საბჭოთა ინტელიგენცია.

ჩვენ მეცნიერული კვლევის დიდ გაქანებას მივაღწიეთ. ჩვენი მეცნიერების, კონსტრუქტორებისა და ინჟინრების ბევრმა მიღწევამ მსოფლიო აღიარება ჰპოვა. საბჭოთა ხალხი დამსახურებულად ამაყობს თავისი მეცნიერებითა და ინჟინრებით, რომლებიც ნაყოფიერად მუშაობენ მთელი ხალხისათვის, საბჭოთა ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობისათვის, კომუნიზმის მშენებლობისათვის დიდმნიშვნელოვანი პრობლემების გადასაწყვეტად. მათს შრომაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. პარტია და მთავრობა მუდმივად ზრუნავენ ჩვენს ქვეყანაში მეცნიერების განვითარებისათვის.

შემდეგ ა. ნ. კოსიგინმა ხაზი გაუსვა იმ დიდმნიშვნელოვან როლს, რომელსაც მოსკოვის, როგორც უდიდესი ინდუსტრიული და მეცნიერული ცენტრის, საწარმოებისა და სამეცნიერო ორგანიზაციების კოლექტივები ასრულებენ ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასა და შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სრულყოფაში.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე ეტაპზე მანქანების კონსტრუქციების სწრაფი განახლების, ახალი ტექნოლოგიური პროცესების აღმოჩენის შედეგად მორალურად სწრაფად ძველდება მოქმედი მანქანები, ჩარხები და ხელსაწყოები. ასეთი პროცესის გამო განსაკუთრებით აქტუალურია ამოცანა — ეაძლიერებდეთ მოწყობილობის გამოყენების ინტენსივობას, მაქსიმალურად ვახანგრძლივებდეთ მუშაობის დროს და უფრო სრულად ვიყენებდეთ მის წარმადობას, რათა აღარ დაგვჭირდეს ექსპლოატაციიდან მოვხსნათ ფიზიკურად ჯერ კიდევ გაუცვეთელი მოწყობილობა მის მორალურ მოძველებასთან დაკავშირებით. ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში მივაღწევთ, თუ მთლიანად სასარგებლოდ დავტვირთავთ არსებულ მოწყობილობას, ავამაღლებთ მისი მუშაობის ცვლიანობას. ასეთ ამოცანას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოსკოვის, ლენინგრადისა და მთელი რიგი სხვა სამრეწველო ცენტრების საწარმოებისათვის, რომლებსაც აქვთ მოწყობილობის დიდი პარკი და ჰყავთ კვალიფიციური მუშათა კადრები.

ჩვენში, თქვა ორატორმა, წარმატებით წყდება ადამიანის საარსებო მატერიალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პრობლემა შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის საფუძველზე. სოციალისტური ეკონომიკის განვითარება, სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის განმტკიცება ყველა პირობას ქმნის სახალხო კეთილდღეობის საზოგადოების შექმნისათვის. პარტია და მთავრობა კვლავაც ეცდებიან მიაღწიონ იმას, რომ თვითეული საბჭოთა ადამიანის ცხოვრების მატერიალური დონე განუწყვეტლივ მაღლდებოდეს.

ამის საფუძველია შრომის ნაყოფიერების საყოველთაო გადიდება. საზოგადოების ეკონომიური ბაზისათვის ძირის გამოთხრა იქნებოდა, თუ მოსახლეობის შემოსავალს გავადიდებდით ისე, რომ შესაბამისად არ გაიზრდებოდა შრომის ნაყოფიერება.

ცხადია აგრეთვე, რომ საქმის მატერიალურმა მხარემ არ უნდა დაჩრდილოს სხვა მაღალი სოციალური მიზნებიც. ჩვენ დაუცხრომლად უნდა ვზრუნავდეთ ადამიანის პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის, ყველა საბჭოთა ადამიანის სულიერი მოთხოვნილებების რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილებისათვის.

სოციალისტური საზოგადოება პატიოს სცემს და აფასებს ადამიანებს მათი შემოქმედებითი შრომისათვის, ენერგიისათვის, რომელსაც ისინი ახმარენ საერთო საქმეს, ცოდნისათვის, რომელიც მათ სამშობლოს ინტერესების სამსახურში ჩაყენეს. მაგრამ ყოველივე ეს ადამიანს თავისთავად როდი ეძლევა, არამედ საბჭოთა ადამიანების მთელი ცხოვრების წესის, მთელი სოციალისტური საზოგადოების შედეგია. ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ ახალი ადამიანის აღზრდასა და განვითარებას. ეს არის ყველა საალმზრდელო ორგანიზაციის, საწარმოო კოლექტივების, ფართო საზოგადოებრიობის უმნიშვნელოვანესი მოვალეობა.

ადამიანთა აღზრდა სულ უფრო მეტად ხდება მთელი საზოგადოების საქმე. ამიტომ მთელი სიმწვავით დგება სახალხო განათლებისა და მთელი აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფის ამოცანა. ამ საქმეში დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს პედაგოგთა და აღმზრდელთა მთელმა ჩვენმა უზარმაზარმა არმიამ. საჭიროა, რომ ოჯახსა თუ საბავშვო ბაღში, სკოლასა თუ უმაღლეს სასწავლებელში ცხოვრების პირველი წლებიდანვე საბჭოთა ადამიანი ეუფლებოდეს კომუნისტურ იდეალებს, აღიჭვამდეს ცხოვრების ჩვენი წესის სულიერ საფუძვლებს, საჭირთა, რომ ეგოიზმის თესლი არ ხვდებოდეს ბავშვების სულში, რომ პიროვნულისა და საზოგადოებრივის შერწყმა ორგანული იყოს თვითეული ჩვენი ახალგაზრდისათვის, რომ პირადი მიზნები არასოდეს არ ჩრდილავდეს საზოგადოებრივ ინტერესებს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადამიანთა აღზრდას შრომითს კოლექტივში. საჭიროა, რომ ჩვენი საზოგადოებრიობა და უწინარეს ყოვლისა შრომითი კოლექტივი თვითეულს უნერგავდნენ პირადი შრომის დისციპლინისათვის, საზოგადოებრივი წესრიგისათვის, საზოგადოებრივი საკუთრების დაცვისათვის პასუხისმგებლობის გრძნობას. ცხობილია, თუ რა უდიდეს მუშაობას ეწევა ამ მიმართულებით კომკავშირი. ახლახან დამთავრებულმა სრულიად საკავშირო ალკკ XVI ყრილობამ გვიჩვენა, რომ კომკავშირს ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მიაჩნია ბრძოლა საბჭოთა ახალგაზრდობის სოციალისტური შეგნებისა და კულტურის ამაღლებისათვის. ჩვენი ახალგაზრდობა უნდა აღვზარდოთ იდეურად მტკიცე, პარტიისა და ხალხის საქმისადმი ერთგული, ჯანმრთელი და ხალისიანი, დიდად განვითარებული და მომავლის რწმენით აღსავსე.

ა. ნ. კოსიგინმა თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკის საკითხებსაც. პერიოდი, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უკანასკნელ — 1966 წლის არჩევნებს გვაშორებს, აღნიშნა მან, აღსავსე იყო დიდი მოვლენებით საერთაშორისო ცხოვრებაში. პარტია და მთავრობა ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ვითარებას საერთაშორისო ასპარეზზე, ახორციელებდნენ ღონისძიებებს, რათა ზემოქმედება მოეხდინათ მასზე სოციალიზმისა და მშვიდობის ინტერესებისათვის, მოვლენების განვითარებიდან გამოჰქონდათ შესაბამისი დასკვნები ჩვენი საშინაო საქმიანობისათვის ეკონომიური და თავდაცვითი მშენებლობის დარგში.

ლენინის ანდერძის სულისკვეთებით ჩვენი საგარეო პოლიტიკა გამოხატავს ღრმად პარტიულ, კლასობრივ მიდგომას საერთაშორისო ცხოვრების მოვლენებისადმი. მარქსისტულ-ლენინური პრინციპულობა ყოველთვის არის მისი განუყოფელი თვისება დიდი ოქტომბრის მონაპოვრების, სოციალიზმის მონაპოვრების დაცვაში. ჩვენი პოლიტიკა — ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკაა. ამ პოლიტიკას ვახორციელებთ საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველი დღიდანვე, და იგი ჩვენი უცვლელი კურსია.

კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას თავიანთ უპირველეს მოვალეობად მიაჩნიათ ყველაფერი იღონონ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთიანობისა და შეკავშირების შემდგომი განმტკიცებისათვის. ამ ამოცანის გადაწყვეტაში სოციალისტური ქვეყნები ბევრად წინ წავიდნენ. ეს ეხება მათი ურთიერთთანამშრომლობის გაფართოებასა და განმტკიცებას ყველა დარგში — ეკონომიკაში, მეცნიერებასა და ტექნიკაში, ერთობლივი თავდაცვის საქმეში, მათს საერთაშორისო საქმიანობაში. სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთიანობა და შეკავშირება მათი მძლავრი იარაღია მათ წინაშე მდგომი სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად, აგრეთვე იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა საგარეო პოლიტიკას, რომელიც ეყრდნობა ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიურ და თავდაცვით ძლიერებას, იმპერიალისტები აღიქვამენ როგორც მეტად სერიოზულ დაბრკოლებას, რომელიც ხელს უშლის მათი აგრესიული გეგმების განხორციელებას. მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის ბრძოლაში ჩვენი საგარეო პოლიტიკის ქმედითობა იმის მიზეზია, რომ მას გააფთრებით ესხმის თავს იმპერიალისტური პროპაგანდა. რას არ იგონებენ ბურჟუაზიული პრესა და რადიო საბჭოთა საგარეო, აგრეთვე საშინაო პოლიტიკის შესახებ! შეიძლება შევხვდეთ ახირებულ მტკიცებასაც კი საბჭოთა კავშირის რაღაც დამპყრობლური მიზნებისა და აგრესიულობის, საბჭოთა საზოგადოებაში რაღაც შინაური ბრძოლის, სხვა სოციალისტური ქვეყნების სუვერენიტეტს უარყოფის შესახებ. ჩვენი პოლიტიკის შესახებ ასეთი მონაჭორების გავრცელება შეუძლიათ მხოლოდ უპრინციპო ადამიანებს, რომლებიც მზად არიან ფულის გულისათვის წეროონ ყველაფერი, რაც მოესურვებათ.

როცა ისმენ მთელ ამ სისულელეს, გაგონდება ჩვენი დიდი მწერლის ი. ს. ტურგენევის სიტყვები ერთ-ერთ თავის ნაწარმოებში იგი წერდა: „—თუ გსურთ მაგრად აწყენინოთ, ავნოთ კიდეც მოწინააღმდეგეს, — მეუბნებოდა ერთი ძველი გაიძვერა, — უკიჟინეთ მას სწორედ ის ნაკლი თუ მანკიერება, რომელიც თქვენ გაქვთ. აღმფოთდით... და უკიჟინეთ!

ჯერ ერთი — ეს სხვებს აფიქრებინებს, რომ თქვენ ეს მანკი არა გაქვთ. მეორე — თქვენი აღშფოთება შეიძლება გულწრფელი იყოს... შეგიძლიათ ისარგებლოთ საკუთარი სინდისის ქენჯნით“.

ისინი, ვინც ჩვენს საგარეო და საშინაო პოლიტიკას ცილსა სწამებს, ზუსტად ტურგენევის გაიძვერას რიცხეტით მოქმედებენ. მათ სინდისიც კი არ ქენჯნით მხოლოდ იმიტომ, რომ, როგორც ჩანს, სინდისი არა აქვთ.

შეეხო რა ევროპის მდგომარეობას, ა. ნ. კოსიგინმა აღნიშნა, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა თავის საევროპო პოლიტიკაში ხელმძღვანელობენ ნათელი მიზნებით. განამტკიცონ მეორე მსოფლიო ომის შედეგები, მიაღწიონ დაძაბულობის შენელებას, განამტკიცონ სახელმწიფოთა შორის ურთიერთნდობა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის საფუძველზე, უფრო საიმედო გახადონ ევროპის უშიშროების საყრდენები,

საფრანგეთთან ჩვენი ურთიერთობა საბჭოთა კავშირის იმ კურსის ეფექტიანობის მაგალითია, რომელსაც საფუძვლად უდევს სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების შესაძლებლობათა აქტიური გამოყენება. ჩვენ, თქვა ორატორმა, მივესალმებით იმ ფაქტს, რომ ორივე მხარე ადასტურებს, რომ მტკიცეა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის განვითარების კურსი ყველა დარგში, რაც ამ ბოლო წლებში დაისახა. ამას უიჭველი სარგებლობა მოაქვს საბჭოთა და ფრანგი ხალხებისათვის, ევროპისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის.

საბჭოთა კავშირი ყოველ ერს ეხმარება, რომ გერმანიის მილიტარიზმი არასოდეს კვლავ არ ეფუძვნოდეს თავის მეზობლებს, ევროპის შემდგომ [illegible] გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა [illegible] მიმდინარეობს, მათ შორის უკანასკნელი დროის ფაქტები, მოწმობს, რომ თუმცა იქ ევროპის რეალური მდგომარეობის უფრო ფხიზელი შეფასების ზოგიერთი ნიშანი გამოჩნდა, მაინც კვლავ აქტიურად მოქმედებენ რევანშისტული ძალები. ისინი საკუთარ თავსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობას კვებავენ რევანშის გიჟური იდეებით. ამაზე ჩვენ მხოლოდ ერთი რამის თქმა შეგვიძლია: პოლიტიკური თვალსაზრისით რევანშისტები მხოლოდ ცოცხალი ლეშები არიან, იმიტომ, რომ მათი იდეები საშიში, მაგრამ განუხორციელებელი იდეებია. იმის ცდები, რომ განახორციელონ ეს იდეები, თვით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას კატასტროფის გარდა არაფერს მოუტანდა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მომავალი შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების გზით. ამ გზაზე საბჭოთა კავშირი მზად არის ითანამშრომლოს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, ისევე როგორც ევროპის სხვა ქვეყნებთან.

გამოდის რა სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან შეკავშირებულად, საბჭოთა კავშირი კვლავაც გაზრდის მეკადინეობას დაძაბულობის შენელებისათვის, იმისათვის, რომ ევროპა გადაიქცეს მშვიდობისა და სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის კონტინენტად. მათი საზოგადოებრივი წყობილების მიუხედავად. სწორედ ამ მიზანს ემსახურება წინადადება სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის შესახებ.

პრინციპული და თანმიმდევრული, ხაზი გაუსვა ა. ნ. კოსიგინმა, იყო და არის საბჭოთა კავშირისა და მოძმე სოციალისტური ქვეყნების პოზიცია ამერიკის აგრესიის მიმართ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

ვიეტნამელი ხალხის გმირულმა ბრძოლამ დამაჯერებლად ცხადყო, რომ შეერთებული შტატები ვერც იარაღის ძალით, ვერც სხვა გზით ვერ დაათმობინებენ ვიეტნამელ ხალხს თავის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას. თუმცაღა, ვაშინგტონი ამაოდ ცდილობს დაამტკიცოს საწინააღმდეგო.

მთელი მოწინავე კაცობრიობა აძლიერებს პროტესტს ინდოჩინეთში ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის წინააღმდეგ და უფრო მტკიცედ მოითხოვს აგრესიის შეწყვეტას. შესაძლებელია ინდოჩინეთის პრობლემის მხოლოდ ერთი გადაწყვეტა — ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მისმა სატელიტებმა დაუყოვნებლივ და მთლიანად უნდა გაიყვანონ ჯარები ვიეტნამიდან და ამ რაიონის სხვა ქვეყნებიდან.

ახლო აღმოსავლეთში საბჭოთა კავშირი მტკიცედ ახორციელებს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისათვის, სირიის არაბთა რესპუბლიკისა და სხვა არაბული სახელმწიფოებისათვის ყოველნაირი მხარდაჭერის ხაზს, რომლებიც უკვე სამი წელია სამართლიან ბრძოლას აწარმოებენ ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის.

მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიული ძალების მოქმედება საერთაშორისო დაძაბულობის ძირითადი წყაროა. ისინი ყველგან მხარს უჭერენ ანტიდემოკრატიულ, რეაქციულ რეჟიმებს, ეხმარებიან მათ შეინარჩუნონ ძალაუფლება. ეს ძალები ცდილობენ მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში ჩაახშონ დაძაბულობის შენელებისა და სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე საერთაშორისო ურთიერთობის განვითარების ტენდენცია, რომელიც იქ იჩენს თავს.

შეეხო რა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ურთიერთობას, ა. ნ. კოსიგინმა აღნიშნა, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა მთელი ამ წლების განმავლობაში ცდილობდნენ მოეწესრიგებინათ ეს ურთიერთობა სახელმწიფო ხაზით მაინც. ასეთი მიდგომას საფუძვლად უდევს ჩვენი რწმენა, რომ საბჭოთა და ჩინელი ხალხების ინტერესები არათუ არ განსხვავდება, არამედ ემთხვევა კიდეც ერთმანეთს. მაგრამ ჩინეთის მხარე ახორციელებს ისეთ ხაზს, რომელიც ჯერ-ჯერობით საშუალებას არ გვაძლევს მივაღწიოთ რამდენადმე არსებითს პროგრესს არც ურთიერთობის ნორმალიზაციაში საერთოდ, არც მოლაპარაკებაში, რომელიც ახლა მიმდინარეობს პეკინში ორივე ქვეყნის მთავრობის დელეგაციათა შორის სასაზღვრო საკითხების მოწესრიგების თაობაზე.

ა. ნ. კოსიგინმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თავისი საგარეოპოლიტიკურ საქმიანობაში კვლავაც იხელმძღვანელებს ლენინური პრინციპებით, რომლებიც მიზნად ისახავენ სოციალიზმის მთელი ძალების შეკავშირებას, ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის მხარდაჭერას, იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკის მოგერიებას, იხელმძღვანელებს ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის პრინციპებით.

თავისი სიტყვის დასასრულს ა. ნ. კოსიგინმა თქვა:

ჩვენ ვცხოვრობთ შესანიშნავ ხანაში. ჩვენში შექმნილია ისეთი მძლავრი ეკონომიური პოტენციალი, რომელიც საშუალებას გვაძლევს ჯეროვან სიმაღლეზე ვიქონიოთ ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობა და ამავე დროს წლითიწლობით ავამაღლოთ ხალხის ცხოვრების დონე. საბჭოთა ადამიანების მრავალი თაობა სიამაყით, პატივისცემითა და მადლიერებით მოიგონებს მუშების, კოლმეურნეების, მეცნიერების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების — ყველა იმათ თავდადებულ შრომას, ვინც ამ წლებში განამტკიცებს სამშობლოს ძლიერებას, კომუნიზმის მშენებლობის დიადი საქმის სამსახურში აყენებს თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ნაყოფს.

ამხანაგ ა. ნ. კოსიგინის გამოხვლა დამსწრეთ დიდი ყურადღებით მოისმინეს. ამხ. ა. ნ. კოსიგინის სიტყვის დროს არაერთხელ გაისმოდა ტაში.

ამომრჩეველთა შეხვედრა მ. ა. სუსლოვთან

ლენინგრადი. ა. ზ. გორკის სახელობის კულტურის სასახლეში კიროვის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველები შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს მიხეილ ანდრიას ძე სუსლოვს.

შეხვედრა გახსნა სკკპ კიროვის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ვ. ივანოვმა.

ნდობით აღჭურვილმა პირმა კიროვის ქარხნის მომხმენელმა ბ. ბ. ვეროვკინმა შეურბილთ გააცნო მ. ა. სუსლოვის ცხოვრება და მოღვაწეობა და მოუწოდა ყველა ამომრჩეველს არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცენ ხმა ხალხის კანდიდატებს.

შეხვედრაზე გამოვიდნენ ა. ა. ჟდანოვის სახელობის გემთსაშენებელი ქარხნის დირექტორის მოადგილის შემსრულებელი ბ. მ. იაკოვლევი, ბალტიის საზღვაო სანაოსნოს კაპიტანი სოციალისტური შრომის გმირი ვ. ი. ბელოვი, № 3 სახლთსაშენებელი კომბინატის მიკაწრ რ. ი. ფილატოვი, გემთმშენებლობის ტექნოლოგიის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის უფროსი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ფ. სოკოლოვი, წყლის ტრანსპორტის ინსტიტუტის სტუდენტი ვერა ბოლგოვა.

ორატორებმა სიამაყით იღაპარაკეს პარტიისა და ხალხის ურღვევ ერთიანობაზე, იმაზე, რომ მბურველად უგერეგ მხარს პარტიის წინასაარჩევნო პლატფორმას, თუ რა შრომითი წარმატებებით ეგებებიან მშრომელთა კოლექტივები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს, საქმით უპასუხებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წინასაარჩევნო მიმართვას.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა მ. ა. სუსლოვმა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ჩემი დასახელება კიროვის საარჩევნო ოლქის მშრომელთა მიერ, თქვა მან, დიდ პატივად მიმაჩნია, ვამაყობ გაწეული ნდობით და ყოველ ღონეს ვიხმარ, რათა ლენინის ქალაქის ღირსეული დეპუტატი ვიყო.

დღეს მ. ა. სუსლოვი ეწვია ა. ა. ჟდანოვის სახელობის ქარხანას, შეხვდა გემთმშენებლებს, იყო ვ. ი. ლენინის სახელობის სამხრეთ-ზღვისპირეთის პარკის მშენებლობაზე, საჯაჭრო საწარმოებში (სალეხი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივ კომისიაში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის სხდომა, რომელშიც მოისმინა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის ამხ. მ. ღონჯილიას მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის 1968 წლის 28 ნოემბრის დადგენილება „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობაში რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მონაწილეობის შესახებ“. კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა აღნიშნული დადგენილების შესასრულებლად სერიოზული მუშაობა გაწიეს.

1968-70 წლებში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახსრებით აშენდა და ამუშავდა საყოფაცხოვრებო მომსახურების 564 ობიექტი. კარგი მაჩვენებლები აქვთ მახარაძის, ზუგდიდის, სიღნაღის, ორჯონიკიძის, ზესტაფონის, ჭარელის, ბორის და სხვა რაიონებს.

1969 წელს მახარაძის რაიონის სოფელ თხინვალის კოლმეურნეობაში აშენდა საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, რომელშიც მოთავსდა სპორტული, სამკერვალო და ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნოები. სოფლებში: ჯუმათში და ბაღლეთში აშენდა აბანოები. ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ამუშავდა საყოფაცხოვრებო მომსახურების 16 პავილიონი, 12 ხე-ტყის სახერხი.

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა აამენეს 6 საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, 2 აბანო, 3 წასაქცეული, 2 პავილიონი. 1970 წელს დამთავრდება 5 საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატისა და ერთი აბანოს მშენებლობა.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო პერიოდულად სწავლობს და იხილავს კოლეგიის სხდომებზე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობის მდგომარეობას.

საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი ფორმების დანერგვისათვის, ახალი ობიექტების აშენების და კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და მომზადებისათვის მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო.

საქალ

მსოფლიო დღეს

გულითადი შეხვედრა

ვარშავა, 9 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი ვ. მიხალჩეკო გვატყობინებს:

სახალხო პოლონეთის დედაქალაქის თეატრის სცენაზე გასტროლები დაიწყო თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრმა. სტუმრებმა უჩვენეს ს. ფღენტის პიესა „მიწის შვილები". პოლონელი მაყურებლები გულითადად შეხვდნენ სპექტაკლს, რომელიც ასახავს ქართული სოფლის სოციალისტურ გარდაქმნებს, და მხურვალე ტაშით დაჯილდოვეს შემსრულებლები. მსახიობებს მიართვეს ყვავილები.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში თეატრის დირექტორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა სერგო ზაქარიაძემ განაცხადა:

— გულითადი მასპინძლობა, რომელიც გაგვიწიეს პოლონელმა მაყურებლებმა, მოწმობს უდიდეს ინტერესს ჩვენი მრავალსაუკუნოვანი კულტურისადმი. იგი გამოხატავს აგრეთვე მეგობრულ გრძნობებს ჩვენი ხალხისადმი, რომელიც თანასწორთა თანასწორთა შორის სამეოთხის ხალხების ძმურ ოჯახში. პოლონელ მაყურებლებთან ოთხმა შეხვედრამ პოზნანში და პირველმა შეხვედრამ ვარშავაში აღფრთოვანა მთელი შემოქმედებითი კოლექტივი, რომელიც ცდილობს გააცნოს ჩვენს მეგობრებს ის, რითიც მდიდარია და რითიც სახელოვანია ქართული ეროვნული თეატრი. დიდი ლენინის ასი წლისთავისადმი მიძღვნილი პიესის „მიწის შვილების" გარდა, ჩვენ გარშავაში ვუჩვენებთ ორ ნაწარმოებს ჩვენი ქართული კლასიკური რეპერტუარიდან, სცენებს სპექტაკლებიდან „ვეფხისტყაოსანი", „სეზუანელი კეთილი კაცი" „მეფე ლირი" „მზიანი ღამე" და სხვა სპექტაკლებიდან, რომლებიც მოწმობენ ქართული თეატრის ფართო შემოქმედებითს დიაპაზონს.

ᲚᲘᲒᲐᲜᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

10 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ თბილისში ჩამოვიდა ლიბანის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება ტურიზმის შესახებ მთავრობათა შეთანხმების სელმოწერასთან დაკავშირებით. დელეგაციას მეთაურობს ლიბანის პარლამენტის დეპუტატი, ტურიზმის მინისტრი ხ. ბაბიკიანი. მასთან ერთად ჩამოვიდნენ რესპუბლიკის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ნ. აკარი, საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორი მ. საბრა, ტურიზმის სამინისტროს კანცელარიის დირექტორი რ. აზი. საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს დელეგაციას ახლავს ლიბანის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ნ. ამიუნი.

სტუმრებთან ერთად ჩამოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის მთავარი სამმართველოს საერთაშორისო ორგანიზაციების განყოფილების უფროსი ლ. გ. მისაილოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ახლო აღმოსავლეთის განყოფილების პირველი მდივანი დ. იუშკოვი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის თავადარი სამმართველოს საერთაშორისო ორგანიზაციების განყოფილების უფროსი ლ. გ. ქავთარაძე. საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანი ო. ს. ციანავა, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ნ. შელაძე და სხვა ოფიციალური პირები.

(საკდესი).

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲓᲐᲡᲐᲯᲔᲡ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 10 ივნისი. (საკდესი). კვლავ დასჯეს ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების დანაშაულებრივი ომის მოწინააღმდეგენი. იმ ომისსაწინააღმდეგო დემონსტრაციის 10 მონაწილეს, რომელიც გასული წლის გაზაფხულზე მოეწყო, ჩიკაგოს სასამართლომ სხვადასხვა ვადით პატიმრობა მოუსაჯა. სამს მოუსაჯეს ათი წლის პატიმრობა, შვიდს — 5 წლის პატიმრობა. ისინი დასაჯეს იმისათვის, რომ 1969 წლის 25 მაისს შეიპარნენ არმიაში გაწვევის კომისიის ერთ-ერთ უბანში და ვიეტნამის ომის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად დაწვეს გასაწვევი ბარათები.

ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲐ

ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲔᲜ „ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲘᲡ" ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ

ᲠᲝᲛᲘ, 10 ივნისი. (საკდესი). ვენეციაში დამთავრდა ნატოს ატომური დაგეგმვის ჯგუფის ორი დღის სხდომა. ამ ჯგუფში შედიან ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, გერმანია ფედერაციული რესპუბლიკა, იტალია, პოლონდია, კანადა, ნორვეგია და თურქეთი. ორი დღის მანძილზე ამ ქვეყნების თავდაცვის მინისტრები და ნატოს მხედართმთავრები განიხილავდნენ „ატომური სტრატეგიის" საკითხებს. როგორც პრესა წერს, ძირითადად, სესიის მონაწილენი ამოწმავებდნენ ტაქტიკური ატომური იარაღის გამოყენებისა და „საპასუხო დარტყმების" მიყენების „სახელმძღვანელო დებულებებს", თითქოს ვინმე ოცნებობდეს ნატოს ქვეყნებს სამხედრო თავდასხმის საფრთხეს, სესიის მთავარი მოვლენა იყო ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის ლეირდის მოხსენება სამხედრო პრობლემებზე.

სესიის შემდეგ გამოქვეყნებულ მოკლე კომუნიკაში ნათქვამია, რომ მისი მონაწილეები შეთანხმდნენ გაანგარძონ „დაბალეფექტიანი ეროვნული ატომური სალეთ" ეროვნულმოქალაქეთა „ატომური სტრატეგიის" შემუშავება.

ატომური დაგეგმვა ეს ჯგუფში შემავალ რვა ქვეყნის თავდაცვის მინისტრებს ჯერ ვინიციეთ წასვლა არ მოუსწრიათ და უკვე მოიწვიეს ნატოს კიდევ ერთი სამეზიდრო ორგანოს სხდომა. ხელ ბრიუსელში. ინფორმაცია ნატოს თავდაცვის დაგეგმვის კომიტეტი, რომელშიც სულ ოთხ ქვეყანა შედიან ნატოს წევრი ყველა ქვეყნის წარმომადგენლები.

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 10 ივნისი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის კორესპონდენტი იუწყება ბუენოს-აირესიდან, სამი გვარეობის შეიარაღებული ძალების სარდლები — გენერლები ა. ლანუსე (სახმელეთო ჯარები), ჯ. რეი (ავიაცია) და ადმირალი პ. გნავი (ფლოტი), მოლეგბმაც არგენტინაში ხელში აიღეს ძალაუფლება, იხილავენ შესაძლო კანდიდატურებს პრეზიდენტის პოსტზე დამხობილი გენერლის ონგანიას ნაცვლად. მინისტრთა უწინდელი კაბინეტის ყველა წევრს სთხოვეს თანვიანთ პოსტზე დარჩენენ ახალი პრეზიდენტის დანიშვნამდე. გამოთაყლისს შეადგენს შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრი ფრანსისკო იმასი, რომელიც ყველაზე გაგლეჩიან კაცად მიაჩნდათ ონგანიას მთავრობაში. ეს პოსტი ლორეზით გადაეცა თავდაცვის მინისტრს რაფაელ კასერეს მოსრი. ინფორმაციის გამოყენებისა და „საპასუხო დარტყმების" მიყენების „სახელმძღვანელო დებულებებს", თითქოს ვინმე ოცნებობდეს ნატოს ქვეყნებს სამხედრო თავდასხმის საფრთხეს, სესიის მთავარი მოვლენა იყო ამერიკის შეერთებული შტატების მინისტრის ლეირდის მოხსენება სამხედრო პრობლემებზე.

სესიის შემდეგ გამოქვეყნებულ მოკლე კომუნიკაში ნათქვამია, რომ მისი მონაწილეები შეთანხმდნენ „ეროვნული ატომური ძალების" ... ...

გამარჯვებული

სრულიად საკავშირო დათვალიერება

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ახალი სადღესასწაულო საკონცერტო პროგრამების სრულიად საკავშირო დათვალიერების ჟიურიმ შეაჯამა შედეგები. განმარტა რა სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსა და სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის კოლეგიისა და სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის სამდივნოს დადგენილება, რომელსაც ხელს აწერენ სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ე. ფურცევა და სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მდივანი ტ. ხრენიკოვი, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქიშვილმა უთხრა საქმედსის კორესპონდენტს:

დათვალიერების ძირითადი მიზანი იყო ახალი რეპერტუარის შექმნა, თანამედროვეობის თემებზე საბჭოთა ავტორების საუკეთესო ნაწარმოებთა ფართო პროპაგანდა, ხალხური შემოქმედებისა და კლასიკური მემკვიდრეობის თვალსაჩინო ნაწარმოებთა პოპულარიზაცია. დათვალიერების მოსაწყობად შეიქმნა ჟიური, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მუსიკალური ხელოვნებისა და კულტურის წამყვანი მოღვაწენი, კომპოზიტორები, მწერლები და პოეტები. ჟიურის მუშაობაში ჩაბმული იყო აგრეთვე სპეციალისტთა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ფართო წრე. საქართველოდან ჟიურის შემადგენლობაში შედიოდნენ კომპოზიტორები რ. ლაღიძე და ბ. ცაბაძე.

როგორც მოსალოდნელი იყო, დათვალიერებამ მნიშვნელოვნად აამაღლა საკონცერტო ორგანიზაციებისა და მხატვრული კოლექტივების იდეურ-მხატვრული და საწარმოო საქმიანობის დონე. შეიქმნა ახალი პროგრამები და ნომრები, რომლებიც ლენინური იუბილეს ღირსეული საჩუქარია. სულ ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში შეიქმნა ორასამდე ახალი სადღესასწაულო საკონცერტო პროგრამა, რომლებიც დათვალიერების დროს განხილა ყველა რესპუბლიკურმა ჟიურიმ, სრულიად საკავშირო დათვალიერებაში მონაწილეობისათვის რესპუბლიკურ დათვალიერებებზე დაასახელეს 70 საკონცერტო ორგანიზაცია, მუსიკალური და ქორეოგრაფიული კოლექტივი, რომლებმაც თავი გამოიჩინეს მაღალი იდეური და მხატვრული ღირსებებით.

საქართველოდან სრულიად საკავშირო დათვალიერებაში მონაწილეობდა ორი კოლექტივი — საქართველოს სახელმწიფო საბუნდო კაპელა და საქართველოს ხალხური ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი. ჟიურის გადაწყვეტილებით ორივე კოლექტივს მეენიჭა დათვალიერების ლაურეატთა წოდება და დაჯილდოვდა პირველი ხარისხის დიპლომებით. განსაკუთრებით სასიხარულოა აღინიშნოს, რომ საქართველოს სახელმწიფო საბუნდო კაპელასთან ერთად პირველი ხარისხის დიპლომები მიიღო საბჭოთა კავშირის ეკვსმა ცნობილმა საბუნდო კოლექტივმა.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს კოლეგიისა და სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის სამდივნოს დადგენილებაში განსაკუთრებით აღნიშნულია საქართველოს ხალხური ეკვისა და სიმღერის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მაღალი პროფესიონალიზმი და თემატიკის მრავალფეროვნება.

დასასრულ ო. თაქთაქიშვილმა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულიად საკავშირო დათვალიერების დიპლომანტებს მიულოცა ჯილდო და უსურვა ამ კოლექტივებს ახალი შემოქმედებითი გამარჯვებები.

დაიწყო პიონერული ზაფხული — ნორჩთა დასვენების საუკეთესო დრო. მათ შესახვედრად ჩვენი ქვეყნის ულამაზეს ადგილებში, ზღვების, მდინარეებისა და ტბების ნაპირებზე ფრიალებენ ალისფერი ალმები. აჭა-იჭ ისმის მხიარული პიონერული ზაფხულის დადგომის მაუწყებელი საყვირების ხმა.

ეს სახეგაბრწყინებული ბედნიერი გოგო-ბიჭებიც პიონერთა ბანაკებში მიიჩქარიან.

ფოტო ა. კავკასიძისა.

ბერლინის სამ ხალიჩაზე

ბერლინში სტარტი აიღო ევროპის ჩემპიონატმა თავისუფალ ჭიდაობაში. მონაწილეობს 22 ქვეყნის სამასამდე სპორტსმენი. შეჯიბრება მიმდინარეობს „დინამო-შპორტპალეს“ დარბაზის სამ ხალიჩაზე.

წარმატებით დაიწყეს ბრძოლა საბჭოთა სპორტსმენებმა. პირველ შეხვედრაში წმინდა გამარჯვება მოიპოვეს ბაჩოლმა რ. გაჯიევმა (ულმნატესი წონა), ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა ერეკნელმა პ. მალიანმა (ქვემსუბუქი წონა) და მსოფლიოს ჩემპიონმა თბილისელმა ზ. ბერიაშვილმა (მეორე ქვესაშუალო წონა), მათ დაამარცხეს იტალიელი ბალეტრო, დასავლეთგერმანელი ნეფი და საბერძნეთის წარმომადგენელი პალასკასი.

ევროპის პირველობის პრიზიორმა თბილისელმა ნ. ხოხაშვილმა (პირველი ქვესაშუალო წონა) აშკარა უპირატესობით მოუგო თურქ აქმადის, მსოფლიოს და ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონმა. კიეველმა ბ. გუერეევიჩმა (მეორე საშუალო წონა) დაამარცხა შვედი ანდერსონი, კრასნოიარსკელმა ი. იარიგინმა (ქვემძიმე წონა) — რუმინელი ბალოგი. ყაზანელმა ვ. მარკელოვმა (მსუბუქი წონა) ქულებით მოუგო უნგრელ ჩაბს.

მხოლოდ ორმა საბჭოთა მოჭიდავემ წაგო სტარტზე ქულებით შეხვედრები. ესენი იყვნენ მოსკოველი ბ. დმიტრიევი (მსუბუქი წონა) და თბილისელი ლ. თედიაშვილი (პირველი საშუალო წონა). პირველი დამარცხდა ევროპის ჩემპიონ ბიელეთან (ბულგარეთი), მეორე—გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოჭიდავე სტოტმაისტერთან.

სხვა გაზეთებიდან

სტადიონზე და ცხოვრებაში

□ **ბრაზილია-ინგლისის მატჩზე.** ვისაც წინასწარ შეძენილი ბილეთები არა ჰქონდა, მას ოცნებაც არ შეეძლო იმაზე, რომ შეიძენდა. ჯერ კიდევ წინადღეს საუკეთესოტები სულ ცოტა 500 მექსიკურ პესოს თხოულობდნენ ამ თამაშის ნახვის უფლებისათვის. იმათ შორის, ვინც ტრიბუნებს გარეთ დარჩა, აღმოჩნდნენ პაულო რობერტო კერეირა, ლუის კარლოს ანგოლინი და ძმები შენოვეზეები — ოთხი ბრაზილიელი საუდანტი, რომლებმაც მთელი გზა გვადალახარამდე — თხუთმეტი ათასი კილომეტრი ფეხით გამოიარეს. ზუსტად ორი თვის განმავლობაში მოდიოდნენ ფეხბურთის ეს პილიგრიმები სამხრეთი და ცენტრალური ამერიკის გზებზე და აი, ფეხბურთის ისტორიაში, უმაგალითო მოგზაურობის ფინიშზე რომ მივიდნენ, იძულებული გახდნენ თამაშის პერიოდებისათვის თვალი ედევნებინათ ტელევიზორით, იმიტომ რომ ფული არ ეყოთ ოუნდაც ერთადერთი ბილეთის შესაძენად.

„ქრონიკულ“ „ბრაზილიანი“

□ **ა. სტაროსტინი** ატყობინებდა მიხეიოდან: ჩვენს გუნდში თითქმის ყველანი მწყობრში არიან. მაღალი ბურთისათვის ბრძოლაში კაპლინის შუბი გაუხეთქეს. საავადმყოფოში მას ნაკერები დაადეს. საუზმეზე მტკიცედ განაცხადა, რომ მისთვის ეს ახალი ამბავი არ არის და რომ 5-6 დღის შემდეგ ისევ მწყობრში ჩადგება. ამ დროს სასადილოში შემოვიდა გუნდის მორიგე ვალენტინ აფონინი და ხმამაღლა განაცხადა:

— ჩვენს რიგებს ახალი წევრი შეემატა! — და წაიკითხა დეპეშა, რომელითაც იუწყებოდნენ, ვალერი ზიკო